ძველი თბილისის სადარბაზოების წარსული, აწმყო და მომავალი

მზია მილაშვილი
პროფესორი, არქიტექტურის დოქტორი
E-mail: amv59@mail.ru
მირანდა შამილაძე,
მარიამ წიკლაური
მაგისტრანტები

რეზიუმე

სტატიაში განხილულია თბილისში არსებული ძველი, ისტორიული და კულტურული ღირებულების მქონე შენობების ერთ ერთი არქიტექტურული ელემენტის - სადარბაზოების ინტერიერების ფორმირების ეტაპები და მათი სტილისტური გადაწყვეტები. ჩატარებული კვლევის შედეგად აღწერილია ამჟამინდელი მდგომარეობა, დასაბუთებულია მათი ადგილი და როლი ქალაქის არქიტექტურულ კონტექსტში. საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითზე განსაზღვრულიაძირითადი მიმართულებები და ამოცანები, რომელთა გადაწყვეტაც აუცილებელია ისტორიული სადარბაზოებისა და შენობების რესტავრაციისა და მათი თანამედროვე ქალაქურ გარემოში ადაპტაციისათვის.

საკვანძო სიტყვები: არქიტექტურა, კულტურული მემკვიდრეობა, სადარბაზო, ინტერიერი, კოლორიტი, დეკორირება.

შესავალი

XIX საუკუნის თბილისი ორსახა იანუსივით ერთი სახით აზიას, მეორეთი კი ევროპას უყურებდა. ქალაქის განუმეორებელი კოლორიტი მის გარეგნულ სახესა და ყოფა–ცხოვრებაშიაისახებოდა. ეს ის პერიოდია, როდესაც თბილისი, ისევე როგორც მთელი საქართველო, ევროპული განვითარების პროცესშიიყო ჩართული.

ევროპიდან შემოსულმა ახალმა წეს-ჩვეულებებმა, საცხოვრებლის ახლებურად გამართვის მოდის დამკვიდრებამ შეცვალა ცხოვრების ნორმები, გემოვნება, მოთხოვნილებები. თბილისის ყოფა–ცხოვრებაში ბევრი თავისებური, სრულიად სპეციფიკური, საგანგებოდ „თბილისური" არქიტექტურის ტიპი ჩამოყალიბდა. [1]

არქიტექტურის „გაევროპულებამ, ყოფა–ცხოვრების ახალმა ნორმებმა, უპირველეს ყოვლისა, საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაზემოახდინაგავლენა. თბილისის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში იჭრება ახალი ფორმები, ელემენტები, მათ შორის ჩნდება სახლის სრულიად ახალი არქიტექტურული ელემენტი - სახლის ცენტრალური შესასვლელი, ე.წ. „სადარბაზო", რომელიც სახლის რესპექტაბელურობის, მისი „ევროპულობის" ერთ–ერთ ნიშნად იქცა.

ძირითადი ნაწილი

თბილისში სადარბაზოები 1850–60–იანი წლების შემდგომ ახალი ტიპის „ფეშენებელურ" სახლებთან ერთად ჩნდებიან. მანამდე თბილისური სახლების უმეტეს ნაწილს შესასვლელი აივნიდან ჰქონდა, კიბე კიაივანზე გარედან იყო მიდგმული, ან აივნისა და შუშაბანდის ფარგლებში იჭრებოდა ერთი გრძელი, უწყვეტი მარშის სახით.[1]

იმ დროის სადარბაზო სახლის მეპატრონეთა ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა და როგორც ქალაქური, ბურჟუაზიული ყოფის სიმბოლო მდიდრულად იყო მორთული. მას საგანგებოდ გაფორმებული ვესტიბიული ქონდა, იატაკზე წარწერით „SALVE", მისი ინტერიერი შემკული იყო პილასტრებით, დეკორატიული ნაძერწობით, მოზაიკით, ცხაურებით, კედლის მხატვრობითა და ვიტრაჟებითაც კი. უხვად მორთულმა სადარბაზო–ვესტიბიულებმა თბილისურ სახლებს განსაკუთრებით პარადული, საზეიმო იერი შესძინეს.

სადარბაზოს შესასვლელი ხის, მასიური კარი ნაკვეთი ჩუქურთმებითიყომორთული, მისი ზედა შემინული ნაწილი კი ლითონის ჭედური ან სხმული ორნამენტული ცხაურით იყო დაცული. კარის თავზე ზოგჯერ ე.წ. „ფრამუგა" იყო მოწყობილი და ხშირად კარს წინფარაც ამშვენებდა. დღისით სადარბაზოში ბუნებრივი შუქი კარის ღიობიდან, შემინული „ფრამუგიდან" ან ჭერში მოწყობილი „შუქფანრიდან" აღწევდა. "ფრამუგა" და „შუქფარანი" ხშირად ვიტრაჟებით იმკობოდა, რომლის ფერადი შუქის ათინათები ინტერიერს თავისებურ ელფერს სძენდა და სადარბაზოში მრავალფერად განათებული საზეიმო სივრცე იქმნებოდა.

ჰოლის სიღრმეში, კიბის პირველ საფეხურთან, ჩვეულებრივ დეკორატიულად გაფორმებულ კანდელაბრს გდამდნენ, რომელსაც დიდი ზომის სანათი აგვირგვინებდა.მრავალი სადარბაზო კედლის დიდი ღუმელებით თბებოდა, რომელთა მოსაპირკეთებლად მოჭიქული კერამიკული

ფილები იტალიიდან ან საფრანგეთიდან ჩამოჰქონდათ. შესასვლელთან მოზაიკურ იატაკზე გაკეთებული წარწერა „SALVE" (ლათ.-სალამი) მიმსვლელს არა მხოლოდ ლათინურად ეპატიჟებოდა. სადარბაზოების ორნამენტული იატაკი სხვადასხვა მოტივებით იყო დეკორირებული და პოლიქრომულ ხალიჩის ეფექტს ქმნიდა.

თბილისში ამგვარად მოწყობილი და მორთული სადარბაზოები ძირითადად სოლოლაკის, ჩუღურეთის, მთაწმინდისა და ვერეს უბნებში გვხდება. ამჟამად მრავალი მათგანი სახეშეცვლილი და ნაწილობრივ გადაღებილია, თუმცა რამდენიმე სახლის სადარბაზო თითქმის უცვლელი სახით ინახავს პირვანდელ მორთულობას.

თბილისურ სადარბაზოთა ინტერიერების არქიტექტურულ-დეკორატიული სტილი ძირითადად ეკლექტიკურია. ვხვდებით დასავლურიფსევდობაროკოს, ფსევდორენესანსს, ფსევდოკლასიციზმს, მოდერნის სტილის, ასევე აღმოსავლური - მავრიტანულიდა სპარსულისტილის ინტერიერებს. მათ უმრავლესობას ძირითადად ორი სტილისტური გადაწყვეტის მქონე სადარბაზოები შეადგენენ. ერთი, სადაც ინტერიერები გადაწყვეტილია კლასიციზმის სტილში და მეორე, სადაც სადარბზოების ინტერიერები მოდერნის (არტ ნუვო) სტილითაა გაფორმებული. [1]

უფრო მეტად გავრცელებულია კლასიცისტურისტილით გადაწყვეტილი სადარბაზოები, რომელთაც ზომიერი პროპორციის სწორკუთხა ვესტიბიულები და ცალკე გამოყოფილი კიბის უჯრედები აქვთ, სადაც კედლები და წერის პლაფონები დანაწევრებულია, მოხატულია ან მოპირკეთებულია ე.წ. „სტუკოს" ტექნიკით. [2]

ასეთი სადარბაზოების კედლები შემკულია დეკორატიული მოჩარჩოებებით, პილასტრებით, მედალიონებით, რომლებშიც კედლის მხატვრობაა მოთავსებული. ვესტიბიულის მოხატულობა უმეტეს შემთხვევაში ზეთის ან ტემპერის საღებავით ბათქაშზეა შესრულებული და მეტწილად სიუჟეტურ სცენებსა და პეიზაჟებს წარმოადგენს, ხოლო კიბის უჯრედის კედლებს ძირითადად ქაღალდზე ან ქსოვილზე შესრულებული სურათები ამკობდა. (ამ სტილის საინტერესო სადარბაზოები აქვთ თბილისშიაღმაშენებლის გამზ. №36 და №93, გ. ტაბიძის ქ №18, გრიბოედოვის ქ. №14 მდებარე სახლებს).

რაც შეეხება მოდერნის სტილის სადარბაზოებს, მათი ინტერიერებისმორთულობაუმეტესად კიბის მოაჯირებისა და ცენტრალური კარის ცხაურის დეკორირებითშემოიფარგლებოდა. ინტერიერის კედლები სადაა, პლასტიკური დანაწევრებისა და პროფილირებული მოჩარჩოებების გარეშე. თუმცა, ზოგჯერ კედლებზე ფერწერულ დეკორსაც ვხვდებით. აქ მხატვრობა კედლის მთელ ზედაპირზე დანაყოფების გარეშე თავისუფლადაა განთავსებული და მოდერნის სტილისათვის დამახასიათებელი ტიპური დინამიურობით, ჰაეროვნებითა და სიმსუბუქით გამოირჩევა. სადარბაზოების კედლებზე და ჭერზე მცენარეულ სტილიზებულ რელიეფურ ორნამენტებსაც ვხვდებით.

ამ სტილის სადარბაზოები XX საუკუნის I ათწლეულს მიეკუთვნება და შედარებით ნაკლებადაა შემორჩენილი. ასეთი სადარბაზოებიდან აღსანიშნავია ბარნოვის ქ.№16–ში მდებარე სახლის სადარბაზო, ამაღლების ქ. №6–ში მდებარე სახლი, რომლის ინტერიერიც და ექსტერიერიც სრულად პასუხობს ამ სტილისტურ მიმართულებას.

XIX საუკუნის ევროპაში როკოკო კვლავ პოპულარული ხდება და თბილისშიც 1890–იანი წლებიდან ე.წ. „ფსევდოროკოკო" იჩენს თავს. თბილისური სადარბაზოებისთვისაც ტიპური ხდება ფსევდოროკოკოსა და ფსევდობაროკოს სტილში შესრულებული ჭერის პლაფონები და ბალუსტრადები, რომლებიც შემკულია ფრინველების, მცენარეთა გირლანდებისა და ადამიანთა ფიგურებით.

თბილისური სადარბაზოების ინტერიერების დეკორშიაღმოსავლურ მოტივებსაც ვხვდებით. აღსანიშნავია თბილისში შემორჩენილი ე.წ. „სპარსული" სტილის სადარბაზოები, რომლებიც ხალიჩისებრი ხასიათის ნაირგვარი პოლიქრომული ორნამენტული მოტივებითა და სტალაქტიტებითაა გაფორმებული. მაგალითად, დეკორით უხვად შემკულია ი. მაჩაბლის ქ. №17–ის პომპეზური სადარბაზო, რომელიც დღესაც აღმოსავლურ, ზღაპრულ სასახლეს მოგვაგონებს. აღმოსავლური სტილისაა ლ.ასათიანის ქ. №58–ში მდებარე სახლის სადარბაზო, რომელის ინტერიერიც უხვადაა მორთული ორნამენტებითა და შეისრული თაღებით.

თბილისში გვხდება სადარბაზოები, სადაც ევროპულ მოტივებთან ერთად ადგილობრივ ეთნო-მოტივებსა დაელემენტებსაც ვხვდებით. მათი შემკობისას უცხოელი ოსტატები ხშირად ასახავდნენ ადგილობრივ პეიზაჟებსა და ღირსშესანიშნაობებს. მაგალითად, სავარაუდოდ ბ. ტელინგატერის მიერაა მოხატულ გ. ტაბიძის ქ.№18–ში მდებარე სადარბაზო, სადაც ოსტატს კავკასიონის ხედი გამოუსახავს. ხოლო კ. მარჯანიშვილის ქ. №18–ში მდებარე სადარბაზოში რ.კერგერის მიერ შესრულებულ დიდ პანოებზე დარიალის ხეობა და კავკასიონის ქედებია აღბეჭდილი. მ. წინამძღვრიშვილის ქ №39-ში მდებარე სახლის სადარბაზოში კი კავკასიონის ხედები და იტალ-

იური იდილიური პეიზაჟები მხატვარს ერთმანეთის გვერდით დაუხატავს.

მე–19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე–20 საუკუნის დასაწყისში აშენებული სახლები თავიანთი სადარბაზოებით დღეს ისტორიულ მემკვიდრეობას წარმოადგენენ. თუმცა, შესაძლოა მალე ქალაქმა ეს სიმდიდრე დაკარგოსრადგან, როგორც ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, მხოლოდ რამდენიმე შენობისსადარბაზოს აქვსსრულადშენარჩუნებული პირვანდელი სახე. სადარბაზოების უმრავლესობა ცუდ მდგომარეობაშია, მათი მოპირკეთება და დეკორი ზოგან ფრაგმენტულად, ზოგან კი სრულადაა განადგურებული. მრავალი სადარბაზო კი საბჭოთა პერიოდში და შემდგომაც მთლიანადაა გადაღებილი. ბევრი სადარბაზო კი დანგრევის პირასაა მისული.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ფარლებში, თბილისური სადარბაზოების მნიშვნელოვანი ნაწილი იქნა შესწავლილი. თბილისურ ისტორიულ სახლების უმრავლესობას,რომლებიც ლამაზი ფასადებით გამოირჩევიან, ფართე, მაღალჭერიანი, მოხატული და მდიდრულად კაზმული პარადული სადარბაზოები აქვთ. თუმცა, დროთა განმავლობაში, სახლებს გარკვეული პრობლემები გაუჩნდათ.დაზიანდნენ და სახედაკარგეს არა მხოლოდ მათმა ფასადებმა და მოპირკეთებამ, არამედ შენობებს გაუჩნდა კონსტრუქციული ბზარებიც, მრავალგან დეფორმირებულია კიბეები, კედლები, გადახურვა, აივნები, იატაკები და სხვა არქიტექტურული კონსტრუქციები და ელემენტები. დაძველებულია და ამორტიზებულია კომუნიკაციები. ნადგურდება და იძარცვება ძვირფასი მასალით მოპირკეთებული ინტერიერები და ფასადები, იპარავენ მოსაპირკეთებელ ფილებს, მარმარილოს საფეხურებს, ჭედური ლითონის მოაჯირებსა და სხვა არქიტექტურულ დეტალებს.

მართალია, ერთის მხრივ, ადამიანებისათვისსაამაყოა ის ფაქტი, რომ ისინიისტორიული ღირებულების სახლებში ცხოვრობენ, თუმცა, მეორე მხრივ, აქ შექმნილი გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობების გამო, მათ აღარ აინტერესებთ რას წარმოადგენს და რამდენად ღირებულია ქალაქისათვის ესშენობები. ბევრ მათგანს ურჩევნია ძველი შენობის სანაცვლოდ ამავე ადგილასაშენებულ ახალ, თანამედროვე კორპუსში იცხოვროს.

ისტორიულ სახლებში მობინადრეებს არ აქვთ შესაძლებლობა საკუთარი ძალებით შეაკეთონ შენობის დაზიანებული კონსტრუქციები, არქიტექტურული ელემენტები, რესტავრაცია გაუკეთონ კედლის მხატვრობასა თუ დეკორს. ეს სამუშაოები თავდაპირველად მრავალმხრივ კომპლექსურ კვლევის განხორციელებასა და შემდგომსპეციალისტთა კვალიფიციურ ჩარევას მოითხოვს რისთვისაც სერიოზული ფინანსური რესურსებია საჭირო.

ამ მიმართებით საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ევროპაში ისტორიული სახლები აღდგენა არა მხოლოდ საინტერესო, არამედ მარკეტინგულად მომგებიანი საქმეა. სახელმწიფები დაინტერესებულიარიან ისტორიული შენობების შენარჩუნებით, რადგან ისინი, ერთის მხრივ, ქვეყნის ისტორიულ სიმდიდრეს, მეორეს მხრივ კი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი რესურსს წარმოადგენენ.

ეს პროცესი არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც ინტენსიურად ხორციელდება. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ლატვია, სადაც მარკეტინგული თვალსაზრისით საკმაოდ მომგებიანია ძველი შენობა–ნაგებობების რეკონსტრუქცია-ადაპტაცია. ძველ რიგაში მდებარე ასეთ სახლებში აღდგენისშემდგომ უმეტესად მაღალი კლასის სასტუმროები ფუნქციონირებენ. [?]

ლატვიაში ისტორიული სახლების აღდგენისას ზედმიწევნით სრულდება ძეგლთა დაცვის ინსპექციის მიერ შემუშავებული ინსტრუქციები. იმისთვის,რომ ისტორიულ შენობაში/უბანში რაიმე შეიცვალოს აუცილებელია საპროექტოკონცეფციის განაშენიანების საერთო კონტექსტთან შესაბამისობის მრავალმხრივი დასაბუთება. რიგასა და იურმალაში პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურები ცდილობენ შეინარჩუნონ და არ დაკარგონ ამ ქალაქების ინდივიდუალური და თვითმყოფადი იერ-სახე.ასეთი მაგალითები მრავლად არსებობს ევროპის ქალაქების ისტორიულ უბნებში, სადაც რეკონსტრუქციასთან დაკავშრებით შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციებიმოქმედებს. [5]

თბილისისს ისტორიულ უბნებში ჩვენს მიერ განხორციელებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ დღეისათვის მრავალი ისტორიული სადარბაზოებიდანგრევის პირასაა და უმრავლესობა სრული განადგურების საფრთხის წინაშე დგას. ამ მიმართებით ჩვენთვის საყურადღებო და იყოისტორიული სადარბაზოებისა და შენობების შენარჩუნების ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არსებული სტრატეგიის შესწავლა.ამ მიმართებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2007 წლის 8 მაისს, როცა ძალაში შევიდა ძველი თბილისის შენობებისა და სადარბაზოების, როგორც კულტურული მემკვიდრეობისდაცვის შესახებ კანონი. კანონის მიღების შემდგომ განხორციელებულია რამდენიმე ისტორიული შენობისა და სადარბაზოს რესტავრაცია (მაგ. მაჩაბლის ქუჩის №17–ში მდებარე სახლი და სადარბაზო). [3]

საინტერესო იყო ასევე ქართული ხელოვნებ-

ის კვლევის ცენტრის მკვლევარების ც.კილაძის, თ. გერსამიას და მ. მეძმარიაშვილის თაოსნობით განხორციელებული თბილისის ისტორიული სადარბაზოების პასპორტიზაციის შემდგომ დაგროვილი მრავალი საინტერესო მასალის გაცნობა, რომელთა საფუძველზეც თბილისის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის, დაცვისა და გაფრთხილების მიზნით, მათივე ავტორობით გამომცემლობა თბილისის მიერ 2009 წელს გამოიცა თბილისური სადარბაზოების შესახებ უხვად ილუსტრირებული ალბომი. [4]

დასკვნა

ამრიგად, მნიშვნელოვან და მრავალმხრივ ამოცანას წარმოადგენს ძველი თბილისური სადარბზოების ინტერიერების იერ-სახის შენარჩუნებისა და მათი პერსპექტიული გამოყენების საკითხები.

თბილისის, როგორც რაკურსებისა და ხედების ქალაქის მრავალფეროვნებასა და ხიბლს არა მხოლოდ ადგილმდებარეობა და ბუნება, არამედ მისი ისტორია და არქიტექტურაც განსაზღვრავს. გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქში კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლების რაოდენობა საკმაოდ დიდია, აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს მათი შენარჩუნება-ადაპტირება, რადგან მათი დაკარგვით იკარგება ქალაქის ისტორია.

უცხოური გამოცდილების გაზიარებით შესაძლებელია რეალურად განხორციელდეს არა მხოლოდ კულტურული ძეგლების შენარჩუნების, არამედ მათთვის ახალი სიცოცხლისა და ფუნქციის მინიჭების სტრატეგია, რომელისშედეგადაც ეს შენობები თავიანთი უნიკალური სადარბაზოებით უდაოდსაინვესტიციო რესურსის მატარებელ ობიექტებად იქცევიან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევითი ჯგუფის მიზანია აღნიშნულ საკითხზე მუშაობის გაგრძელება, და ამ მიმართებით არსებული საერთაშორისო და სამამულო პრაქტიკისა და რეკომენდაციების საფუძველზე, კონკრეტული შენობებისათვის საპროექტო წინადადებების შემუშავება. რაც გულისხმობს ისტორიული შენობებისა და მათი სადარბაზოების აღდგენა- შენარჩუნებას, მათთვის ახალი სიცოცხლის მინიჭების მიზნით, რაც ხელსშეუწყობს ისტორიული შენობებისროგორც ტურისტული და სხვა სახის ობიექტების ქალაქის ინფრასტრუქტურაში სრულფასოვნ ჩართვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://tbilisi2013.wordpress.com Tbilisuri–sadarbazoebi. ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 17.06.15
2. https://ru.wikipedia.org/wiki/Стукко ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 17.06.15
3. http://ymt.ge/2014/11/ Tbilisis–savizito–baraTi–2. ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 17.06.15
4. http://www.ambioni.ge/zeglebi-romelta-sesaxebtbiliselebma-araferi-ician ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 17.06.15
5. http://dmrealty.ru/OverseasPropertyMarketArticle/View?contentViewID=ef3ae3ba-a68a-4a44-a67e-7aef2293046d ინფორმაცია უკანასკნელად გადამოწმებულია 17.06.15

LAST, REAL AND FUTURE OF ENTRANCES OF OLD TBILISI

MZIA MILASHVILI - Doctor of Architecture, professor)
MIRANDA SHAMILADZE - Master of Architecture)
MARIAM TSIKLAURI - Master of Architecture)

Summary

The article discusses the issue of formation stages and stylistic approaches of main entrances - one of the architectural elements of old buildings in Tbilisi with high historic and cultural value. The research describes current state of main entrances of abovementioned buildings and figures out their role in the architectural context of the city. The research provides mainapproaches from international practice and underlines the problems, which need to be considered during restoration of historic entrances in order to integrate them organically in modern urban environment.